



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო  
 პარტის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების  
 (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის

**ნებართვა № 450**

ნებართვის გაცემის თარიღი: პირველი დეკემბერი 2016 წელი  
 მშენებლობის დაწყების თარიღი: პირველი დეკემბერი 2016 წელი  
 მშენებლობის დასრულების თარიღი: 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით

დამკვეთი: შპს „ენერგოტრანსი“

დამკვეთის მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქინძმარაულის ქ. N16

მშენებლობის ობიექტი: დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის  
 მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს  
 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ.327+44დან-  
 პკ.950+18-მდე) მშენებლობა

ობიექტის ადგილმდებარეობა: დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში

მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი: დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების  
 ტერიტორიაზე

პროექტი შეთანხმებულია: ბრძანება: I - სტადია №179-04 07.10.2016 წელი.  
 II-III - სტადია №204-04 01.12.2016 წელი.

სააგენტოს უფროსი  
 (უფლებამოსილი თანამდებობის პირი)



*(Handwritten signature)*  
 (ხელმოწერა)

გრიგოლ კაკაურიძე  
 (სახელი, გვარი)

ბ.ა.

2016 წლის 2 დეკემბერი



## სანებართვო პირობები:

გაიწეროს მშენებლობის განხორციელების შემდეგი ეტაპები :

ა) 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით სსიპ-ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილი იქნას ამ ბრძანების დანართ N1-ში მოცემულ, სამშენებლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების) კორდინატებში მითიერებულ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთი/ნაკვეთებზე, რომლებზეც სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილ იქნება საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

გაიწეროს მშენებლობის განხორციელების შემდეგი ეტაპები:

ა) მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

ა.ა) ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

ბ) მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები

ბ.ა) ნაგებობების მიწის (თხრილების მოწყობა) სამუშაოები;

ბ.ბ) ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;

ბ.გ) ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

ბ.ე) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან (ანძების მონტაჟი);

ბ.ვ) ელექტროგადამცემი სადენების მოწყობის სამუშაოები;

ბ.ზ) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;

ბ.თ) კეთილმოწყობის სამუშაოები.

